

# ტრავმის შემდეგ კანადის მკვიდრი შოტლანდიური აქცენტით ადაპარაკდა



კანადის მკვიდრი, 50 წლის შარონ კემპბელ-ეიმენტი, ორი შვირის დედა, ჯირითის დროს ცხენიდან გადმოვარდა, თავი დაარტყა და გონება დაკარგა. როდესაც გონს მოვიდა, რამოდენიმე დღე დუმდა, ხოლო შემდეგ შოტლანდიური აქცენტით ადაპარაკდა. აღსანიშნავია, რომ შარონი ისეთ ფრაზებს იყენებს საუბარში, რომლებიც

მხოლოდ შოტლანდიურ ენაში გამოიყენება, არადა ის არასდროს ყოფილა შოტლანდიაში.

ექიმებმა ქაღს ე.წ. „უცხო ენის სინდრომი“ დაუდგინეს, რომელიც აქამდე მსოფლიოში მხოლოდ 60 ადამიანს დაუფიქსირდა.

შარონი დარწმუნებულია, რომ ეს ბეციდან მოვდენიერი ნიშანია.

მეუღლესთან ერთად ის შოტლანდიაში გაემგზავრა, რათა საკუთარი ოჯახის ისტორია უკეთ შეესწავრა. საქმე იმაშია, რომ მისი ოჯახი შოტლანდიიდან 100 წლის წინ გადასახდდა. მოგზაურობიდან დაბრუნებულმა შარონმა ჯირითს თავი დაანება და სარეაბილიტაციო ცენტრში დაიწყო მუშაობა, სადაც თავისაქაღას ტრავმის შედეგად დაზარადებულ ადამიანებს ეხმარება ჯანმრთელობის აღდგენაში. მისი განცხადებით, სურს სხვა ადამიანად გრძნობს თავს და დარწმუნებულია, რომ ტვინის ტრავმას, ფიზიკური სიმპტომების გარდა, ადამიანზე დიდი ზეგავლენის მოხენა შეუძლია.

ცნობილია „უცხო ენის სინდრომის“ სხვა შემთხვევებიც: დიდ ბრიტანეთში, ქ. პდრემუტის მკვიდრი ქაღბატონი შაკიკის ძღიერი შეტევის შედეგად ჩინური აქცენტით ადაპარაკდა; პენსიონერმა ქ.

გრაზგოდან დები მაკენმა ინსურტის შემდეგ იტადიური აქცენტი  
აითვისა, ხოლო ავსტრადიედი დინ რუ ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ  
ფრანგური აქცენტით საუბრობს.

The Mirror